«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაჭაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## „დროების“ ფასი პირველის აპრილიდამ წლის დამლევამდე 7 მანათი და 50 კაპ.

ოთხშაბათს, 11 აპრილს,

«ქართული წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» მმართველობისაგან იქნება გამართული თბილისის «კრუჟოკის» დარბაზში

### ბალი

ამ საზოგადოების სასარგებლოდ.

ქალებს შეუძლიანთ დაესწრონ გულშეკრული კაბებითაც.

ბალი დაიწყება საღამოს 9 საათზედ.

ფასი ბილეთებისა 2 მან. ბილეთების ყიდვა შავერდოვის სააგენტოში და თვით «კრუჟოკში». (4—1)

## ძველს ყალიბზედ ჩამოსხმული ახალი გმირი.

თბილისი, 3 აპრილს.

1867 წელს ერთს მიწის-მზომელს — მარდანოვზედ შეიტანეს საჩივარი სოფ. ბოლჩალის (თბილ. გუბერნია) მცხოვრებლებმა და აბრალებდენ მას 100 მან. ქრთამის ალებას. გამოძიებამ თითქმის დაამტკიცა სიმართლე მოჩივართა. მაგრამ ამის მიუხედავად, შვიდი წლის შემდეგ, ამავე მარდანოვს აბარებენ თითქმის მთელს წალკას, აბარებენ იმისთანა საგანს, რაიცა შეადგენს ცხოვრების წყაროს გლეხ-კაცისათვის. მარდანოვს უნდა გაემიჯნა მამულები ოცდა-ათამდე სოფლისათვის, დაედო მათთვის სამზღვარი და აეცილებინა შემდეგში შფოთისა და დავიდარაბის საბაბი. და აი მართლაც, ეს სპარსეთის სატრაპივით მძლავრი მოხელე დასეირნობს წალკის სოფლებში და ყველგან ჰპირდება მეტის მიწის მოჭრას, ოღონდ მცირე სურვილი შეუსრულონ და რამდენიმე ათი თუმანი ჯიბის ფულად მიართვან. «ქრთამი» საზიზღარი რამ არის, მაგრამ მარდანოვს ქრთამის-ალებაზედ კიდევ უარესი სახელი ეკუთვნის. იგი არ იღებდა ქრთამს ქრთამის მიმცემთა ნებაყოფლობით. არა, იგი თითონვე უნიშნავდა გადასახადს,—თუ ამა და ამდენს მომცემთ, მაშინ გავარიგებ თქვენს საქმესა, და ვაი იმ სოფლელების ბრალი, რომელნიც კი თითო-მანათობით არ დაუთვლიდენ. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ხშირად მარდანოვს თავშივე უწყვეტია ფული, თუ კი ორი ან სამი მანათი დაჰკლებია გადაწყვეტილს. ამ გვარს ქრთამს მარტო ქრთამი კი არა ჰქვიან, ქრთამის ძალად გამორთმევა ჰქვიან და სამართალმაც ამ გვარის დანაშაულისათვის დასაჯა დამნაშავე.

ბევრი რამ არის შესანიშნავი მარდანოვის პროცესში, რომელიც ცხადად გვიხატავს ჩვენის ცხოვრების უსწორ-მასწოროდ მსვლელობას. ჯერ ერთი ესა, რომ შვიდი წლის წინად მოქრთამობაში შემჩნეულს პირს აბარებენ მთელს მხარეს და ამ მხარეს განაგებს იგი თითქმის უკონტროლოდ. თითქო არავის წინაშე არ იყოს იგი მოვალე პასუხის გაცემისა. ეს გარემოება მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიოთ და კითხვის ნიშანი დავსვათ.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, მარდანოვს რომ ქრთამის ალებასთან გაეკეთებინა რამე, მისი მოქმედება დღესაც გამოუცხადებელი დარჩებოდა, და იქნება ეხლაც წალკის მაგივრად ბორჯომის ან ძსნის ხეობა «ემიჯნა», და თან შესაფერი ხარჯი ეკრიფა; მაგრამ ქრთამის ალებამ და მასთანავე სრულიად უქმად ყოფნამ მეტად გააბოროტა ხალხი და მთავრობასთანაც კი აჩივლა. ჩვეულებრივი მოქრთამეები მარდანოვზედ უფრო გამრჯენი არიან: აიღებენ ქრთამს და «საქმესაც» გააკეთებენ,—და რად ასტეხავს ქრთამის მიმცემი საჩივარს, თუ კი თავისი საქმე გაიკეთა და მოპირდაპირე მხარეს კი არაფერი საშუალება არა აქვს მოწმებით, ან სხვა რაიმე საბუთით დაამტკიცოს მოხელეს უსინიდისობა. ამ გვარად მოქრთამეების მოქმედებას ისეთი საბურველი ეფარება, რომლის ახდა მართლ-მსაჯულებას არ შეუძლიან. თუ მარდანოვის საქციელი გამოაშკარავდა, გამოაშკარავდა იმიტომ, რომ მარდანოვი ქრთამს იღებდა და არაფერს კი არ აკეთებდა. მარდანოვის საქმეში თითონ ქრთამის-მიმცემნი გამოვიდენ მოწმად და ამ გზით დაამტკიცეს მისი ბოროტ-მოქმედება. ვინ იცის, რამდენი დიდი და პატარა მარდანოვი ფათურობს ჩვენის ცხოვრების მწყვდიადში და თანა შლის ყოველსავე კვალს თავის «მსაჯულებისას».

შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ თუმცა 1867 წელშიაც მარდანოვი შემჩნეული იყო, მაგრამ, როდესაც შვიდი წლის შემდეგ წალკელმა გლეხკაცებმა გაჰბედეს მასზედ საჩივარი, პირველში ბევრი დაბრკოლება ნახეს და საჩივრის სხვა-და-სხვა წესების შესრულებაზედ დიდი წვალება და ხარჯი დასჭირდათ. ჩვენ გვგონია, რომ, რაკი საეჭვო კაცზედ გლეხ-კაცობამ ხმა ამოღება გაბედა, უნდა ხელი შეეწყოთ მათთვის, თითონვე ხელმძღვანელობა გაეწიათ და ფორმალური წესებით კი არ შეეწუხებინათ.

მარდანოვს სამართლიანი სასჯელი დასდვეს: ყოველი ღირსება აჰხადეს და ციმბირის შორეულ ქვეყნებში გადასახლება გადაუწყვიტეს; მაგრამ არა გვაქვს ნება ვსთქვათ, რომ ამ სასჯელმა ცოტა მოუგვიანა მარდანოვს? ჩვიდმეტის წლის წინად დიდი ეჭვი აიღეს მის პატიოსნებაზედ, ცხრა წლის წინად აშკარა და მეტად საზიზღარი ბოროტება მოიქმედა,—ბოროტება არა ერთი და ორი—და მხოლოდ წელს აკუთვნა მას მართლ-მსაჯულებამ ჯეროვანი სასჯელი. ვგონებთ, ეს ცოტა გვიან მოდის «მართლისა და მსწრაფლის სამართლისათვის»!

---

«დროების» ფელეტონი, 3 აპრილი.

## ზანგი-პასტორი *).

### ჯონ კრიდი

### II

ბუტაბუეში მისიონერების სტანციას შეადგენდა ბზის ხეებისაგან აშენებული ერთი პატარა სახლი, რომელიც ერთს გაქრისტიანებულს აქსიმელს კაცს და იმის ცოლს აეშენებინათ მისიონერების მისვლამდის, ასე რომ ჩქარს მდინარე აკრობზედ დიდი ხნის სიარულის შემდეგ ეტელმა ამ სახლში დაისვენა. იქ დასახლდენ ჩვენი ასე საკვირველად შეყრილნი ცოლ-ქმარნი, რომ იქაურებისათვის სახარება ექადაგნათ და ქრისტიანობაზედ მოექციათ. როგორც ვიცით, ერთი უკვე მოქცეულიც იყო. პირველად, ათი თუ თორმეტის თვის განმავლობაში, ეტელი დიდს ქებასა და სიყვარულსა სწერდა თავის მშობლებს ჯონ კრიდზედ. ეხლა, როდესაც ეტელმა გაიცნო იგი, ძალიან უკვირდა, თუ რად ეშინოდა მისთხოვებოდა ამ კაცსა. არც ერთი ქმარი ამისთანა კეთილი და მოსიყვარულე გულისა არ იქნებოდა. ჯონ კრიდი სულ თვალწარბში უყურებდა და ამის სიამოვნებასა ცდილობდა; ეტელისათვის იგი დიდი ნუგეში იყო, როგორც ყველა სხვა ქალისათვის ქმარი. ამასთანავე, იგი იყო ჭკვიანი, განათლებული და სწავლული. ჯონ კრიდი მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ თვით არ იყო ეტელის ღირსი და არცა ჰქონდა იმედი, რომ როდისმე ღირსი შეიქმნებოდა. რასაკვირველია, არ იყო ურიგო, რომ იგინი თეთრს ხალხზედ მოშორებით სცხოვრობდენ და ეტელი თავის ქმარს ველური ხალხის მეტს ვერავის შეადარებდა.

თავის მხრით ჯონ კრიდიც თავის ეტელით ნაკლებად არ იყო აღტაცებული. იგი ისე პატივსა სცემდა თავის ეტელს, რომ ცოლ-ქმართ შორის ასე გადაჭარბებით პატივისცემა მიღებულიც არ არის, მაგრამ ასე იმიტომ იქცეოდა, რომ კარგად იცოდა, თუ რა დიდი უფსკრული იდო მათ შორის. იგი ისე ეპყრობოდა ეტელს, როგორც წმინდას. ამასთანავე, ეტელი იმის მარჯვენა ხელი იყო ყოველს საქმეში და დიდის მოთმინებით იტანდა ყოველ გვარს გაჭირვებას; თვით ადგილობრივს ციებ-ცხელებასაც ისეთის დიდსულოვნებით იტანდა, რომ ჯონ კრიდი მზად იყო თავის თავი იმისთვის შეეწირა და ეს არ იქნებოდა დიდი მსხვერპლი იმისთანა ტურფა ქმნილებისათვის, როგორიც იყო ეტელი.

ერთხელ, ბუტაბუეში მისთვის ცოტა ხნის შემდეგ, ჯონ კრიდი გაქრისტიანებულს ზანგს ინგლისურად ელაპარაკებოდა მაზედ, თუ როგორ შეიძლება ადგილობრივი ენა კაცმა ადვილად შეისწავლოს. მას ცხრა წლისას დაეტოვებინა თავის სამშობლო და სრულიად დავიწყებოდა თავის ენა. გაქრისტიანებულმა მას საჩქაროდ მიუგო ზანგურის ენით პასუხი. ჯონ კრიდმა გაკვირვებით შეხედა მას და აკანკალდა.

— ეგ რას გეუბნება? — ჰკითხა ეტელმა.

— ეს მეუბნება, რომ მე მალე ვისწავლი ზანგურს, თუ კარგად დავუგდებ ყურს იმას, რასაც ლაპარაკობენ. მაგრამ, ეტი, სასიამოვნო ის არის, რომ იმის ლაპარაკი მესმის.

— შენ შენი ენა მოგგონებია, ჯონ, და ეგ არის. შენ ძალიან ადვილად სწავლობ ენებს, და აი, როდესაც შენი სამშობლო ენა გაიგონე, მოგაგონდა იგი.

— იქნება,—მიუგო მისიონერმა ჩაფიქრებით,— მაგრამ მე არც ერთი სიტყვა აღარ მახსოვდა ჩემი სამშობლო ენისა. მიკვირს—ნუ თუ მართლა ჩემი ენა სრულიად მომაგონდება!

— რასაკვირველია,—მიუგო ეტელმა,—შენ ხომ იცი, ენებს რა რიგ ადვილად სწავლობ. შენ თითქმის პორტუგალიური ენაც ისწავლე, როდესაც შენ ლუელიდამ მოსული პორტუგალელების ლაპარაკი გაიგონე.

მართლაც, ენებს ადვილად სწავლობდა. ექვსმა თვემ არც კი გაიარა, რომ ის ეგრეთვე თავისუფლად ლაპარაკობდა ზანგურად, როგორც თვით ზანგები. მაგრამ ცხრა წლისა იყო, როდესაც ინგლისში მიიყვანეს და, რასაკვირველია, რომ არ დაევი-

*) იხ. «დროება». № 72.

## შინაური ქრონიკა

— 1 აპრილს შესდგა წლიური ყრილობა სამეურნეო საზოგადოებისა. უმთავრესი საგანი ყრილობისა მდგომარეობდა წლიური ანგარიშის წაკითხვაში. ამ ანგარიშიდამ აღმოჩნდა, რომ საზოგადოებასა ჰყავდა წარსულს წელს 7 საპატიო წევრი, 119 ნამდვილი წევრი და ცხრაც კორესპონდენტი. ჩვენის აზრით, ასეთი მცირე რიცხვი წევრთა ამტკიცებს, რომ ჩვენში, სამწუხაროდ, ძალიან ნაკლები ყოფილა ხსენებული საზოგადოების მოქმედებაში მონაწილეობის მიღების ხალისი. ამავე ანგარიშიდამა სჩანს, რომ საზოგადოებას წლის განმავლობაში ჰქონია 13 კრება წევრთა, ერთი წლიური კრება და 8 კრება საზოგადოების რჩევისა. ამ კრებებზე, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, აღძრულნი იყვნენ მრავალნი კითხვანი შესახებ ჩვენის ქვეყნის მეურნეული წარმტებისა. ამ კითხვებთაგანი ბევრნი უკვე გადაწყვეტილ იქმნენ წარსულს წელში, ზოგნიც საამწლოდ გადაიდვენენ. რიცხვი საზოგადოების წიგნებისა წარსულს წელში ყოფილა 3346 ტომი. პერიოდიული ორგანოები მოსდიოდა საზოგადოებას 33. აქედგან 10 გამოწერილნი იყვნენ საზოგადოების ხარჯით და 23 კი მოსდიოდათ ნაცვლად თავიანთი გამოცემებისა. წარსულს წელს საზოგადოების შეძლებას შეადგენდა 21,944 მან. და 87 კაპ. თავის საჭიროებისათვის. დაიხარჯა წლის განმავლობაში 16,243 მან. და 74 კ. ამ ფულის ანგარიშის შემოწმება მინდობილი ჰქონდა ამორჩეულს კომისიას, რომელიც შესდგებოდა ბბ. წინამძღვარიშვილის, ყორღანოვისა, მონასტირცევისა და იგნატოვსკისაგან, და რომელსაც ჯერ არ წარმოუდგენია თავისი ანგარიში.

თანამდებობის პირთ აღმორჩევაში ბ. ხატისოვი კიდევ ვიცე-პრეზიდენტად დარჩა. ბ. სმირნოვი ამოარჩიეს რჩევის წევრად, ბ. ენაკოლოფოვი—ხაზინადრად, ხოლო სეკრეტრობა ერგო ბ. ბულიშამბაროვს, რომელმაც მიიღო 22 აღმორჩევითი კენჭი და 10 შავი.

ამ ყრილობის გათავებისას, ბ. დინგელშტეტმა წაიკითხა თავისი მეტად საინტერესო რეფერატი წყლებისა და მდინარეების მოძრაობაზე. ამ რეფერატში ავტორს გაჰყვანდა ის აზრი, რომ, ტყეების გადაჭრის გამო, წყალი დიდხანს აღარა რჩება დედა-მიწის პირზე და ილტვის მდინარეებისკენ. ამისი შედეგი ის არის, რომ მდინარე ხან სულ წვრილმანდება და კიდეც შრება, ხან კი ისე მოდიდდება, რომ სულ თან მიაქვს თვის გარშემო ადამიანის ჭირნახული. აქ წყლების გამაგრება შეუძლებელია. ამიტომ უმთავრესად ყურადღება უნდა იყოს მიქცეული ტყეების დაცვაზედ, რადგან ამით წყალი ინახება ნიადაგში, აღარ მიისწრაფის მდინარეებისკენ და აღარ ახდენს მაზარალებელს წყალდიდობას.

— ჩვენ გვატყობინებენ, რომ 2 აპრილს, დილის 9 საათზე, მეტეხის ციხის კარებიდამ გაიქცა ერთი ტუსალი, რომელიც მოჰყავდათ სალდათებს ნავთლუხის საავად-მყოფოდგან. ზაქცევა მომხდარა ამ გვარად: როდესაც ტუსალი მიუახლოვდა ციხის კარებს, უცებ მოიხსნა ფარაჯა, მიაგდო სალდათს, დაჰკრა ფეხი და გაქუსლა. წინ დახვდა მაღალი კედელი ციხისა, იქიდამ გადმოხტა ქუჩაზე, ეცა ხოსროევის ქარვასლას და შევარდა შიგ. ცოტა ხნის უკან, ამ ქარვასლის ბნელ გასავალ კარებთან, მეორე მხარეზე, დაჰხვდა მას ქარვასლის ყარაული, რომელმაც შეაჩერა და დაიჭირა მინარბენი კაცი. ამავ დროს მოასწრეს შეშინებულმა სალდათებმაც, რომელნიც ისე გაბრაზებულნი იყვნენ, რომ დაუწყეს ტუსალს თოფის კონდახებით საშინელი ცემა. ერთმა სალდათმა დაჰკრა კონდახი შიგ საფეთქელში, კაცი დაეცა უგრძნობლად, სისხლმა გადმოჰხეთქა თავის კეფიდგან და ცხვირპირიდგან. ააყენეს იგი, ხელმეორედ დაუწყეს კონდახებით ცემა და ასრე, ცოცხალ-მკვდარი კაცი, წაიყვანეს ციხეში. ამბობენ, რომ ეს ავაზაკი შარშანაც გაექცათ სასამართლოს კარებიდამ, მაგრამ მაშინაც დაეჭირათ და მძიმედაც იყო თურმე დაჭრილი.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ქალაქის ექიმს აღუკრძალავს, დღეის იქით აღარ დააყენონ ხოლმე რიყის მოედანზედ ურმებით ანუ პოვოსკებით ჩამოტანილი თივა. ამ განკარგულების საბუთი ის არის, რომ ექიმს არა ერთხელ აღმოუჩენია ჭირიანი საქონელი, რომელიც მოურეკნიათ რიყეზე გასასყიდად. ეს ჭირი თურმე გადადის მუშა საქონელზე, რომელიც სოფელში დაბრუნებისათანავე ჰხდება ავად და კვდება. მაგრამ ის უფრო ძნელია, რომ მარტო თითონ ხომ არა კვდება, არამედ ჭირი მისგან გადადის სოფლელების სხვა საქონელზედაც და ამით დიდი ზარალი ეძლევათ ახლო-მახლო სოფლებსაც.

— ჩვენმა გამოჩენილმა სტუმარმა—პიანისტკა სოფია მენტერმა ვერაფერი გულ-უხვობა გამოიჩინა. ზოგიერთ პირთა თხოვნით იგი დასთანხმდა კონცერტი გაემართა საქველ-მოქმედო აზრით კვირას, პირველს აპრილსა; შემოსავალი უნდა რგებოდა წმ. ნინოს «ზავედენიეს», მეორე კლასიკურ გიმნაზიას და სხვ. რადგან ბზობა დღეს საზოგადოდ კონცერტებისა და წარმოდგენების გამართვა აკრძალულია, ამ საქმის გამგეთ დიდი ცდა დასჭირდათ, რომ კონცერტის ნება გამოეთხოვათ. მოუვიდა ნება, დაინიშნა კონცერტი, ადგილებსაც მეტის-მეტად დიდი ფასი დასდეს, რომ სასწავლებლებს შეხვედროდათ რამე, მაგრამ ამ დროს პიანისტკამ გამოაცხადა, რომ მხოლოდ 40% მისცემს საქველ-მოქმედო საქმეს და 60% კი თითონ უნდა აიღოს...

ეს 60%, უეჭველია, იმაზედ მეტს შეადგენდა, რასაც მენტერი თავის კონცერტიდამ იღებდა, რადგან ფასები ერთი-ორზედ კიდევ მეტი იყო. ესეც ვითომ ქველ-მოქმედებაა!

— ამ დღეებში «წერა-კითხვის საზოგადოებას» ზოგიერთი შემოწირულობა მოუვიდა: ბ. ადამიასაგან ქაღალდი, კალმის-ტარები, დაფები, ყარანდაშები და სხვ. სწავლისათვის საჭირო საგნები; ბ. დავითაშვილისაგან—სამკუთხელები, სახაზავები და სხვ. ბ. ვ—ისაგან ერთი ხელ-ნაწერი ისტორია ჩინგის-ხანისა.

— აღდგომის შემდეგ, ოთხშაბათს, 11 აპრილს, «წერა-კითხვის საზოგადოების» მმართველობა მართავს ბალს «კრუჟოკის» დარბაზში.

— «მოსკოვის უწყებების» სიტყვით, ზღვათა სამინისტროში აღუძრავთ

---

წყნა ის ენა, რომელზედაც იგი დაბადებიდამ ცხრა წლამდის ლაპარაკობდა. რამდენიც დრო გადიოდა, უფრო და უფრო კარგად ესმოდა, არამცთუ სიტყვები, არამედ წარმართთა ლოცვებიც და წყევლაც.

ოთხი თვის შემდეგ, ჯონმა დაინახა ღარიბად ჩაცმული მაღალი და მახინჯი ზანგის ქალი ერთს მეიდანზედ, რომელზედაც ადგილობრივი ყასბები ლორად გამოსულს თხის ხოცსა ჰყიდდენ. ეტელმა შენიშნა, რომ ჯონი გაკანკალა და შემკრთალმა ჰკითხა მას მიზეზი შეკრთომისა.

— მე შენ ამას ვერ გეტყვი, ეტი,—უთხრა მან მწუხარედ,—გეთაყვა, ამაზედ ნურარაფერს მკითხავ. მე მინდა, რომ შენი გრძნობანი შეურყეველნი დარჩნენ.

ეტელი მაინც არ ეშვებოდა.

— ის ქალი დედა შენი ხომ არ არის, ჯონ?

— არა, არა, დედა ჩემი არ არის, ეტი,—მიუგო ჯონმა, რის შემდეგაც იმის შავი ლოყები თითქოს ცოტათი გაყვითლდენ,—არა, ის დედა-ჩემი არ არის, მაგრამ მაგონდება კი, ვინც არის.

— შენი ნათესავია?

— ოხ, ეტი! გეთაყვა, ნუ ჩამციებიხარ. დიაღ, ის ქალი დედი ჩემის და არის. მე ის რავდენიმე წლის წინად მახსოვს. ამაზედ ნულარ ვილაპარაკებთ.

ეტელი უცქეროდა ამ გამხდარს და ჭუჭყიანს ზანგის ქალს და ჰკრთებოდა, მაგრამ არაფერს კი ამბობდა.

მაგრამ, რავდენიც დრო გადიოდა, ეტელი უფრო და უფრო ატყობდა ჯონს, რომ იგი იცვლიდა აზრს ზანგების შესახებ. პირველად იგი შიშსა და განწირულების ეძლეოდა ზანგების ველურის ქცევით, მაგრამ რავდენიც აკვირდებოდა მათ, იმდენი უფრო ამართლებდა მათს მოქმედებას და თანაგრძნობასაც აცხადებდა. ერთს დილას ჯონმა თვითონ დაუწყო ეტელს თავის მამაზე ლაპარაკი. ინგლისში ეს თავის დღეში არ მოხდომია.

— მე ეხლა მაგონდება,—ეუბნებოდა იგი,—რომ მამა ჩემი თავის ხალხის დიდი წინამძღოლი იყო. მას ბევრი ცოლები ჰყავდა და მათ შორის დედა ჩემიც. იგი ომში დაამარცხეს და მე ტყვედ წამიყვანეს. მამა ჩემს ქვანტაში მშვენიერი სასახლე ჰქონდა.

შემკრთალმა ეტელმა შენიშნა, რომ ჯონი სიამპარტავნით და კმაყოფილებით ლაპარაკობდა თავის მამის წინამძღოლობაზედ. იგი კვალად შეკრთა და გაჰკვირდა: ნუთუ აფრიკული ინსტინკტები სძლევენ ქრისტიანულს გრძნობას?

როდესაც დარიანმა დღეებმა გაიარა და კაკკოს კაკლები შეკრიბეს, ზანგებმა დიდი დღესასწაული გამართეს. ამ დღეს დილით ერთს მეიდანზედ ჯონი ხალხს უქადაგებდა, საღამოზედ კი იგი თავის ეტელით შინ იჯდა და ელოდა სჯულის მასწავლებელს თავის ცოლით, რომ საღამოს ლოცვები წაეკითხა. მათ უეცრად შემოესმათ ზანგების მუსიკა, რომლის ხმაზედაც ზანგები ხტოდენ და თამაშობდენ ქუჩაში. ჯონმა გულმოდგინებით დაუგდო ყური.

— ზეყურება, ეტი?—შეჰყვირა მან,—ეს ტამ-ტამია. მე ვიცი ის რასაც ნიშნავს, ქაკაოს კაკლის მოკრეფის შემდეგ მხიარულობენ.

— რა საშინელებაა!—მიუგო გაფითრებულმა ეტელმა.

— ნუ გეშინიან, ჩემო ძვირფასო! უთხრა ჯონმა: აქ ცუდი არაფერია, ხალხი მხიარულობს.

ჯონმა თითონაც დაიწყო მუსიკაზედ ტაშის აყოლება.

მუსიკა ახლოვდებოდა და ჯონი უფრო-და-უფრო დიდს აღტაცებაში მოდიოდა.

— ზეყურება, ეტი?—დაიწყო მან კვალად.—ეს საღონგაა. რა გვარს აღტაცებაში მოვყევარ ამ მუსიკას! იგი დოლისა და თითბრის ფიცრების ხმაურობასა ჰგავს. იგი მაგონებს სამხედრო მარშს. ღმერთმანი, რომ თამაშობის გუნებაზედ მოვყევარ.

ესა სთქვა და თავის კლერიკალურის ტანისამოსით (ეს ტანისამოსი მას ბუტაბუეშიაც ეცვა) დაიწყო პატარა ოთახში თამაშობა.

— ოხ, ჯონ! დაწყნარდი!—უყვიროდა ეტელი.—სჯულის მასწავლებელი რომ უეცრად შემოვიდეს, მერე?..

მაგრამ ჯონი თან-და-თან ღელდებოდა.

—აი, მიყურე!—უყვიროდა ეტელს, ეს ასე არის! აი ასე დაუმიზნებ თოფს! აი გაისვრი! აი მივარდები მტერს შუბით, ხოცავ მტრებს, აი ხელში გიჭირავს მტრის თავი და ქალებს წინ უგდებ! ოხ! რა დიდებული სანახავია!..

და მის შავ თვალებში აღენთო ველური ცეცხლი და ხელებმა კანკალი დაუწყეს.

იმაზედ ლაპარაკი, რომ შავის ზღვის ნაპირებზედ ნავთ-სადგურები გააუმჯობესონ და გააფართოვონ. ამ აზრით მოკლე ხანში ამისათვის დანიშნულნი პირნი მოივლიან შავი-ზღვის ნაპირების დასათვალიერებლად.

— გაზ. «კურიერ'ში» ვკითხულობთ: «კავკასიის მთავარ-მმართებელი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი შუამდგომლობს წინაშე ფინანსთა მინისტრისა ბათუმის პორტო-ფრანკოს გადიდების შესახებ. ამ შუამავლობის საფუძვლად თავადს მოჰყავს ის გარემოება, რომ საჭიროა დახმარება ნავთის მრეწველობისა ამიერ-კავკასიაში, რადგანაც ბათუმის ბაქოს ნავთის წყაროებთან რკინი-გზით შეერთების შემდეგ ბათუმის პორტო-ფრანკოს სივიწროვე შეადგენს ერთს უმთავრესს შევიწროებას ნავთის მრეწველობის წარმატებისთვის».

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! ანდაზად არის ნათქვამი: «ერთ ხარს ორ ტყავს არ აძრობენო».—იქნება სხვათა ხალხთა შორის ეს ანდაზა მართლდებოდეს, მაგრამ ჩვენში კი, უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთი იმისთანა პირნი იპოვებიან, რომელნიც ადვილად ახერხებენ ერთი ხარისაგან ორისა და სამის ტყავის გაძრობას. მაგალითად, მოვიყვანოთ ქვემო ხსენებული შემთხვევა.

ერთს კახელ თავადს **ი. პ. ა**ნდრონიკაშვილს ემართა 750 მ. შტრაფის ფული აზ. **ი. ბ.** ბუჭყიაშვილისა, რისაც ამ უკანასკნელ პირს აღსრულების ფურცელიც ჰქონდა აღებული. ამ ვალიდამ თ. ა—მა ზოგი ნაწილი ფულად გარდიხადა და დანარჩენ ვალში პირობის წერილით ბ. **ი.** ბ—შვილი დათანხმდა სამ საპალნე ღვინოზედ, რომელიც მარშანვე სრულად მიიწყო თ. ა—საგან და იმ ღვინიდგან ორი საპალნე მაშინვე წამოიღო და დანარჩენი კიდევ თავის ბეჭდის ქვეშ ქვევრში ინახებოდა.

მაგრამ ამ დანარჩენის ერთი საპალნე ღვინო, რადგანაც დიდ ხანს იდგა ქვევრში ნაკლულად და ქვევრს ბ. ბ—შვილს ბეჭედი ედო, რასაკვირველია, ვერავინ მიეკარებოდა და გადაიღებდა სხვა უმცირესს ქვევრში და ამა მიზეზისა გამო ღვინო გაფუჭდა, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, გადაბრუნდა. ეს შემთხვევა ბ. ბ—შვილმა ღვინის ულირსობას მიაწერა, რის მიზეზითვე ღვინო აღარ მიიღო და თავის ზემო დასახელებულს მოვალეს კიდევ ახალი პირობის წერილით შეეკრა, რომლისა ძალით თ. ა—ს ამ ერთ საპალნე ღვინოში უნდა 160 მ. ჩაებარებინა, როცა თავის ღვინოებს გაჰყიდდა; ამ რიგად ეს ფული აწმყო დრომდის იყო დარჩენილი ჩაუბარებელ ვალად, რადგანაც თ. ა—ს თავისი ღვინოები ჯერ არ გაუყიდნია.

მაგრამ ბ. **ი.** ბ—შვილი, როგორც ეტყობა, იმ მომთმენ პირთაგანი არ გახლავთ, რომ თავის მოვალეებს უცადოს და შეღავათი აძლიოს ვალის გარდახდაში და სიმართლით უსწორდებოდეს მათ, რის მიზეზისა გამოც ის არ დაუბრკოლდა იმ შესაზარავს საქმეს, რომელიც ბოლოს დროს მოუხდინა თ. ა—ს... აი ბოლოს როგორ მოექცა ბ. ბ—შვილი თავის მოვალეს: თ. **ი. პ.** ა—ს ამ უკანასკნელ დროს გამოუვიდა 1200 მ. «ნადელის» ფული, თბილისის გუბერნიის საგლეხ-კაცო გამგეობიდამ უნდა მიეღო. რა კი შეიტყო ეს ამბავი ბ. **ი. ბ.** ბ—შვილმა, მაშინვე მიმართა ამ ხსენებულ გამგეობას და წარუდგინა ზემოხსენებული 750 მანათის აღსრულებითი ფურცელი თავის კარგ მცნობთ და მეგობართ პირთ და სთხოვა, რომ ეს ხსენებული ვალი გამოერიცხათ იმ «ნადელის» ფულიდგან და სრულად ჩაებარებინათ იმისთვის. საკვირველია, რომ ეს მოსამსახურე პირნიც ენდნენ ბ. ბ—შვილის სიტყვებს და პატრონის დაუკითხავად და სიმართლის გაუჩხრეკავად, გაურიგეს ბ. ბ—შვილს საქმე და დანარჩენის 160 მან. ვალის მაგიერ სრულად 750 მ. ჩააბარეს ცრუ-კრედიტორს.

ეხლა ამ მოქმედებაზედ და უსამართლობაზედ თ. **ი. პ.** ა—მა თბილისის გუბერნატორს არზა მიართვა და ვნახოთ, რით დაბოლოვდება ეს საქმე.

ა. მ.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

1 აპრილს.

პეტერბურგი. გაზეთს «ვოსტოკს» მესამე გაფთხილება გამოუცხადეს და ოთხი თვითაც შეაჩერეს, რის შემდეგაც საცენზურო გაზეთების წესით გამოვა იგი; გაზეთი ასე იმიტომ დაისაჯა, რომ მედამ კადნიერად ჰკიცხავდა უმაღლეს სასულიერო იერარხიის პირთა და შეუსაბამოდ გაბრაზებული სჯიდა საეკლესიო გამგეობის მოქმედებას

პარიჟი. ტონკინიდგან იუწყებიან, რომ ფრანცუზების მისვლა ქალაქ ხონგოაზე, რომელიც შავ დროშებს უჭირავთ, ცოტა დაგვიანდა, რადგანაც არტილერიის ტარება მეტად უჭირდებათ. ნეგრიეს და ბრიერის ბრიგადები 11 აპრილამდის ცალ-ცალკე მიდიოდენ შავი მდინარის ნაპირებზე და 11 აპრილს კი უნდა შეერთებულიყვნენ ერთად და შეერთებულის ძალით ხონგოას თავს დასხმოდენ. მცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ ქალაქი უკვე დაცლილია მტრისაგანაო.

ლონდონი. ბიკერგონდში დაატუსაღეს ვიღაც დელი, რომელზედაც ეჭვი აქვთ აღებული, ვითომც ისიც რეეულიყოს ლონდონის ვოგზალების აფეთქებაში; იმას სამი ბომბა და რამდენიმე ბოთლი ნიტროგლიცერინი უპოვნეს; დაატუსაღეს აგრეთვე დელის სახლის პატრონი ვიღაც ევენი, რომელსაც აგრეთვე ასაფეთქებელი ნივთიერებანი უპოვნეს.

სუაკიმი. დღეს მოვიდა ეგვიპტის ბათალიონი; კიდევ მოელიან 500 კაცს ინგლისის ზღვის ქვეითა ჯარისას; ამის შემდეგ აჯანყებულების წინააღმდეგ მომქმედი ინგლისის ჯარები სუაკიმს დასტოვებენ.

კონსტანტინოპოლე. საბერძნეთის საზოგადოების საეკლესიო და საერო რჩევათა საზოგადო კრებამ მიიღო სულთანის ბარათი, რომელიც ამტკიცებს საბერძნეთის ეკლესიისადმი ძველადვე მინიჭებულთ უფლებათ ოტომა-

---

ჯონ!—დაუყვირა მეტის-მეტად შეშინებულმა ეტელმა,—მაგისთანა საქმე არ შეჰფერის ქრისტიანს კაცს! მე შენ სრულიად შეგიძულებ, თუ აგრე კიდევ როდისმე მოიქეცი.

ერთს წამს ჯონს სახე დაუმშვიდდა და ხელებ-ჩამოშვებული დარჩა, თითქოს გულში დანა ჩაურჭესო.

— ეტა!—უთხრა მან დამშვიდებულის ხმით და ისე ელაქუცებოდა, როგორც დამნაშავე ფინია. ეტა, ჩემო ძვირფასო, ჩემო სიხარულო! ეს რა ვქენი? ოხ, ზეცავ! მე თავის დღეში ყურს აღარ დავუგდებ ამ წყეულს ტამ-ტამს. ოხ, ეტი! ღვთის გულისათვის მაპატივე.

ეტელმა თავის მთრთოლვარე ხელი ჯონს თავზედ დაადო. ჯონმა დაიჩოქა მის წინაშე და დამნაშავე ბავშვსავით პირზედ ხელები მიიფარა. ეტელმა ააყენა იგი ზეზედ და ამ დროს სჯულის მასწავლებელი თავის ცოლით შემოვიდა. ჯონი აიმართა, აიღო ხელში დაბადება და ყველა სალამოს ლოცვები წაიკითხა. ამ წამს მან კიდევ შესცვალა თავის ველური ხასიათი, განათლებული კაცის ხასიათზედ.

ამ ამბის ერთი კვირის შემდეგ ეტელი ჩავიდა საკუჭნაოში და შენიშნა ერთი ყუთი, რომელიც თითქოს დამალულსა ჰგავდა. მან ძლივს ახადა თავი და შიგ ერთი პატარა ბოჩკა ზანგური მაგარი რომი დაინახა. მან ბოჩკა ამოიღო ყუთიდამ, დასდგა საკუჭნაოს შუა ადგილზედ, მაგრამ არაფერი კი სთქვა. იმავე ღამეს ეტელს ეზოდამ რაღაც ხმაურობა მოესმა, გაიხედა და სიბნელეში ძლივს გაარჩია, რომ ჯონი ბოჩკას ნაკუწ-ნაკუწად აქცევდა. ამის შემდეგ, ჯონი ისე გულ-კეთილად ექცეოდა ეტელს, რომ ყოველივე თავისი ცუდი საქციელი დაავიწყა მას.

თორმეტი თვის შემდეგ, ეტელი მოდიოდა სალამოზედ ქალების სკოლიდამ ძალიან გაცივებული, მოვიდა სახლში და ჯონი კი შინ არ დახვდა. მინაქინის შუშას დაუწყო ძებნა და ამაოზაში კიდევ იპოვნა ბოჩკა, მაგრამ ეხლა კი სრულიად დაცლილი იყო. ეტელი მაშინვე საწოლ ოთახში შევიდა. იქ კრაოტზედ დახეული სერთუკის ნაგლეჯები და ჯონ კრიდის ევროპიული ტანისამოსი ეყარა. მას საშინელმა აზრმა გაუარა თავში. იგი მარტო გამოვიდა სახლიდამ, რაც იმას თავის დღეში არ უქნია აფრიკაში მოსვლის დღიდგან, და დაადგა ერთს დიდს გზას, რომელიც ზანგების სახლებშუა მიდიოდა. რა ექნა საწყალს ეტელს უცხო ქვეყანაში, ამ ნადირ ხალხს შორის! იგი მიდიოდა ქუჩაზედ და არ კი იცოდა, სად მიდიოდა, სინამ ორი მაღალის ხის ქვეშ არ დაინახა ანთებული ცეცხლი და არ გაიგონა ხმაურობა და ხარხარი. ზანგის ქალები და კაცები თამაშობდენ ერთი მოთამაშე ზანგის გარშემო. მათს შუაში მოთამაშე ზანგს ადგილობრივი ტანისამოსი ეცვა, ფეხები შიშველა ჰქონდა და მღეროდა რაღაც სიმღერას ზანგურს ენაზედ. ხმაზედ ეტყობოდა, რომ დამთვრალი იყო და ფეხზედ ძლივს-ღა იდგა. ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს მოთამაშე და ღრიალა შავი ზანგი—ჯონ კრიდია?!

დიაღ! ინსტინქტმა დასძლია განათლებას! ჯონ კრიდის აღეგზნენ ველური ხალხის ჩვეულებანი; მან დახია ევროპიული ტანისამოსი და ზანგური ჩაიცვა. შეშინებული ეტელი იდგა უძრავად ერთს ალაგას და გაშტერებული უყურებდა. ზანგები აქეთ-იქით მოწიწებით ჩამოეცალნენ და ჯონ კრიდმა დაინახა თავისი ცოლი. მან საშინლად შეღრიალა, გონზედ მოვიდა და ეტელის წინ დაეცა. ეტელმა ხელი არა ჰკრა მას, როგორც იგი მოელოდა; ხმას არ იღებდა და ისე უძრავად იდგა, თითქოს გაქვავებულიაო. ჯონმა აიყვანა იგი თავის ძლიერის მკლავებით და ისეთის მტკიცე ნაბიჯით წაიყვანა შინისკენ, როგორი ნაბიჯითაც შოლტონ მალნას ეკლესიაში იარებოდა ხოლმე. მერე იგი ფრთხილად დასდო კრაოტზედ და დაუძახა სჯულის მასწავლებლის ცოლს.

— ეტელი გაცივა,—უთხრა მან ზანგურად,—გვერდით დაუჯექი.

გაქრისტიანებულის ცოლმა შეხედა მას და უთხრა:

— დიაღ, ყვითელი ციება შეხვედრია.

სწორედ ასეც იყო. იგი უგონოდ იწვა კრაოტზედ, თვალები დაეჭყიტა, როგორც მოჩვენებას, და სიცოცხლის ნიშნები აღარ ეტყობოდა.

ჯონ კრიდმა რამდენიმე სიტყვა ქალალდზედ დასწერა, ავად-მყოფთან მჯდომ ქალს დარიგება მისცა და უეცრად სადღაც წავიდა.

(შემდეგი იქნება)

ნის იმპერიაში; მაგრამ საზოგადოებამ უარ-ჰყო ბარათთან ერთად გამოგზავნილი თესკერე, რომელშიაც დიდი ვეზირი შენიშვნებს უკეთებს ამ უფლებათ. უარ-ყოფის საბუთად ის მოჰყავთ, რომ თესკერე შედგენილია კრების დაუკითხავად მარტო პატრიარხის თანხმობით. კრებამ მიანდო პატრიარხს გამართოს პორტასთან ამ საგნის შესახებ მიწერ მოწერა, მაგრამ პატრიარხმა არ იკისრა ეს საქმე იმის გამო, რომ კრებამ პატრიარხის მოადგილეთ დროებით ეთესის არხიეპისკოპოზი აღაფანგელი ამოირჩია.

2 აპრილს.

პეტერბურგი. გეოგრაფიული საზოგადოების მიერ ალაშანიდგან (მონგოლიაშია) მიღებული ტელეგრამაა 8 იანვარს გამოგზავნილი, გვატყობინებს: «მოგზაურთ მშვიდობიანად გაიარეს უდაბნოგობი; ყველანი საღად არიან; 9 იანვარს აპირობდენ წასვლას გუგუნორში ტიბითისკენ». ტელეგრამა უმატებს, რომ ხმებია, ვითომც ტიბეთელნი ევედრებოდენ ღმერთს რათა მოუვლინოს მოგზაურთ ზეციდამ ძვლების (ქვისათუ) სეტყვა.

პარიჟი. ტონკინიდგან იწერებიან ტელეგრაფით, რომ ნეგრიეს ბრიგადა ოთხშაბათს თოფს ესროდა გონგხონს წინ მდებარე სოფელს; მტერმა ქალაქს ცეცხლი წაუკიდა და იქიდგან გავიდა. ბრიერის ბრიგადა შავი მდინარის გაღმა გავიდა და ხუთშაბათს გონგხოიში უნდა შევიდეს; მტერი ჩინეთის სამზღვრისკენ იწევს.

კაირი. აჯანყება კიდევ ძლიერდება; ბერბერის გზა, ნილოსითაც კი, შეკრულია; აჯანყებულები თვითონ ქალაქს უპირობენ თავდასხმას; გუბერნატორი თხოულობს ინგლისის ჯარების დახმარებას.

## განცხადებანი


### კახური ღვინის პოდვალში მომავალი პრაზნიკებისთვის

ახლად მივიღეთ კახეთიდგან დიდი პარტია საუკეთესო ღვინოებისა და ისყიდება როგორათაც პარტიით აგრეთვე წვრილად: ბოთლი 15 კ—დგან 1 მ—დინ, ვედრო 2 მან. 20 კ—დან 10 მ—დენ თავი.

პოდვალი იმყოფება მელიამინოვის ქუჩაზედ ლეჩებნიცის ქვეშ წინამძღვაროვის სახლში.

სოლომან ივანიჩ კურდღელოვი

ამ 1884 წლის 4 აპრილს, 1 საათზე, შუადღის შემდეგ, სამკურნალოში, რომელიც არსებობს გარედამ მოსიარულე ავადმყოფთათვის და რომელიც დაფუძნებულია თბილისის მოქალაქეთაგან სახსოვრად 1866 წ. 4 აპრილისა, გადახდილ-იქნება პანაშვიდი გარდაცვალებული იმპერატორი ალექსანდრე II-ისა, რაიცა სამკურნალოს დირექციას აქვს პატივი გამოაცხადოს.

სამკურნალოს დირექტორი დ. ლისიცევი.




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული



წამალი ნაოფლარისა, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,

### გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში, მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის ვ. კარპინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

ვ. კარპინსკი.

(35—1)

### ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოგნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, გლიტკები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—94)

«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» მმართველობა სთხოვს საზოგადოების დამფუძნებელთა და ნამდვილ წევრთ წარმოგზავნონ ხვედრი საწევრო ფული წარსულის 1883 წლისა პირველთ 20 მან. და მეორეთ — ექვსი მანათი ან საზოგადოების ხაზინადარის ბ-ნ გ. დ. ქართველიშვილის სახლობაზე (Михаиловская улица, собственный домъ), ან საზოგადოებისავე სამწერლოში (Симонсоновская улица, за 1-ою Классическою Гимназiею, подъ редакцiею газ. «Дроэба»). (10—3)

ი ნ გ ლ ი ს ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

### თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—13)



### მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ს ა კ ლ ო ბ უ ს ო  კ ა ლ მ ე ბ ი


რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საადგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თუთრუულისათვის, პატარა ხალ[illegible] იატკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაგინტოშები, კრაგები, საქმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. ა სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—72)


### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 9 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 11 კ. |
| ღორის ღორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | — კ. |
| მეორის — | —1 | გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილისა.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკ.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. დილისა.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Дозв. цензур. Тифлисъ, 2 Апреля 1884 г. ექ. ხელაძის სტამბა) Типографiя Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.